

ხათუნა ნიშნიანიძე

Khatuna Nishnianidze

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

Tbilisi Theological Academy and Seminary

**ავტორი, ტექსტი და მკითხველი დავით გურამიშვილის
„დავითიანის“ მიხედვით**

(„ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს“)

**The Suthor, the Text and the Reader, According to
Davit Guramishvili's "Davitiani"**

(“I am asking the wise man to baptize my orphan child“)

DOI: <https://doi.org/10.62119/lr.45.2025.9962>

The author's spatiotemporal vision is outlined on the background of the relation between the real and the eternal. The empirical present is oppressed and severe. It requires perfection, transformation and spiritual content. According to the author, this is achieved solely by means of literary creativity.

Like the creator of the world, Guramishvili creates and forms a new artistic reality.

In the poem, the author communicates with the reader in a self-confident manner which resembles Rustaveli's style: "My name being Davit Guramishvili, I have told "Davitiani..."

The almighty author of "Davitiani" knows from the very start that he is writing the poem for the salvation of the reader.

According to Davit Guramishvili, there must be mutual assistance between the author and the reader. Both should feel responsibility and obligation. The didactic character of the poem proves that the reader is inferior to the author. They occupy different positions. According to "Davitiani", all the readers are an object of the author's care and aid.

It is impossible to fulfill the creative mission without the reader's readiness and participation. The reader created and educated by Guramishvili

should be the basis for the author's salvation and immortality. Guramishvili managed to use poetry for achieving the communion between his painful/sinful life and God. The creator/man could not have done anything more important than sharing his experience with others. He has been saved by the book, and now he has to assist the world with the book; he feels and predicts this intuitively. According to Guramishvili, it is the reader who "makes a book", granting life and vitality to a literary work and turning it into the book which is read.

"I am asking the wise man to baptize my orphan child" (10. 11). Guramishvili introduces the concept of baptizing the text. This is a supreme expression of the perfect union between the author and the reader. The communion of readers of every epoch with the text i.e. baptizing of the text, is, according to Guramishvili, the basis for the immortality of the text. In "Davitiani", the word "baptizing" may have a religious meaning, but it may also mean revision, editing, correction.

In the epoch of religious crisis and depreciation of values, Guramishvili finds himself in the situation where literature should be based on the idea of human salvation; hence, his words should express the meaning of logos.

Guramishvili is a powerful author. He has the resilience of Biblical fathers. He is uncompromising and full of faith. This helps him influence the readers and direct their thoughts, dreams and emotions.

Guramishvili thinks that, due to his lack of wisdom and "scarcity of knowledge", the text needs to be baptized. He distinguishes a special category of the reader – "the wise man" i.e. the reader that will appreciate the text. Thanks to such readers, Guramishvili will fulfill the mission of revision of the text, its "baptizing", "converting" and "turning it into a Georgian text". It is interesting to find out what kind of editing Guramishvili expects from "the wise man", i.e. the reader. They belong to different categories. The author describes his work as follows: "translation" i.e. commenting and explaining of the text implies revealing of its covert idea. This is what he requires from the readers of "Davitiani": "Grasp the idea of the fable, translate it for my sake!/I have placed a grain inside the loaf of the Georgian bread!" (68. 373). "The wise man" should revise the text from the religious-theological viewpoint: "If the text contains something of alien faith, let him translate it into the Georgian faith"; "If I tell lies, let him transform the text into the truth/may nothing be untrue and unfair" [10. 11]; "This book should be used in purity, let no one smear it with impurities!" (64. 350). The colla-

boration between the author and “the wise man” is a kind of allusion on the editing activities carried out by the metaphrasts.

The words “turning into a Georgian text” mean genuine, untold truth. With these words, Guramishvili expresses the world vision of the epoch when the terms “Christian” and “Georgian” were identical and Christianity was the key feature of the Georgian national self-portrait. Ilia Chavchavadze wrote: “even nowadays, in the entire South Caucasus, “Georgian” and “Christian” are synonyms. When the Caucasians want to say that someone was converted into Christianity, they say: “He became a Georgian”.

საკვანძო სიტყვები: დავით გურამიშვილი, დავითიანი, მირიან ბატონიშვილი, რიტორი, წიგნი, მკითხველი

Keywords: Davit Guramishvili, Davitiani, Mirian Batonishvili, Rethor, Book, Reader.

აღნიშნული სტატიის ფარგლებში დავით გურამიშვილის შემოქმედებითი მრწამსის გამომხატველ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას, კერძოდ: ვის აკისრებს დავით გურამიშვილი „დავითიანის“ ხელნაწერზე მზრუნველობას და რატომ? რა შინაარსის მატარებელია „დავითიანის“ მიხედვით ავტორის, ტექსტის, მკითხველის ძირითადი კონცეპტები და როგორია მათი ურთიერთმიმართების ბუნება? როგორ უნდა გავიგოთ გურამიშვილის სათხოვარი: „*ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს*“, რას ნიშნავს წიგნის ნათლობა?

ცხოვრების მიმწუხრს სამშობლოდან შორს მყოფი, დამაშვრალი, მარტოსული, უშვილო, სიკვდილის მომლოდინე დავით გურამიშვილი აქტიურად იწყებს ზრუნვას სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ არა პერსონალურად, არამედ წიგნის სახით. 1787 წელს, გარდაცვალებამდე 5 წლით ადრე, გურამიშვილი საბოლოოდ გაასრულებს ხელნაწერზე მუშაობას. სამშობლოდან უპატიოდ გატაცებულს, სხვათა ომებში ამაოდ დამაშვრალს ამჯერად მაინც უჩვეულოდ გაუმართლებს – მისი წიგნი სამეფო ოჯახის წარმომადგენლის – მირიან ბატონიშვი-

ლის – დიდი ძალისხმევა-მზრუნველობის პატივით უბრუნდება სამკვიდრო მამულს. სიმბოლურ ქმედებად აღიქმება დავით გურამიშვილის მიერ მირიან ბატონიშვილისთვის წიგნის გადაცემის ეპიზოდი: 1. წიგნი, იგივე სიბრძნე, გადაეცემა სამეფო ოჯახის წევრს – უფლისწულს (საფიქრებელია, რომ გურამიშვილისთვის ხელნაწერის სამშობლოში მოხვედრის სხვა ალტერნატიული გზაც უნდა არსებულებოდა) – მისი წაკითხვა-გააზრების, მასზე მზრუნველობის სურვილითა და ვალდებულებითაც (იხ. ნიშნიანიძე, 2023, გვ. 65.) 2. გადმოცემით, წიგნს საქართველოში ჩამობრძანებამდე დიდი განსაცდელი შემთხვევია; 3. წიგნში გადმოცემული ტრაგიკული ამბავი, ქართლის ჭირი, რაც, გურამიშვილის აზრით, მეფეს, ქვეყანას/ადამიანსა და ღმერთს შორის დარღვეული კავშირის შედეგია, წიგნიერი სიბრძნით, ბიბლიით უნდა დაძლეულიყო. 4. ქართლის ჭირი, ვახტანგ მეექვსის განსაცდელი და დავით გურამიშვილის თავგადასავალი მომავალ მეფეთა, ზოგადად, „სწავლის მძებნელთათვის“ უნდა ქცეულიყო გამოცდილებად, მათი დახელოვნებისა და სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დავითიანი“ დავით გურამიშვილის მიერ ქართული სამეფო სახლისათვის მირთმეული პირადი ძღვენია – „*მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა*“ (გურამიშვილი, 2014, გვ. 98, სტ. 566), ქვეყნის ხსნის იმედად შეწირული.

სამეფო ოჯახის მზრუნველობა და პატივი არც მას შემდეგ მოჰკლებია დავით გურამიშვილსა და მის წიგნს, რაც საქართველოში ბაგრატიონთა მმართველობა გაუქმდა და სამეფო ოჯახის წევრები რუსეთის იმპერატორის „ნებაყოფლობითი“ ქვეშევრდომობისა და იძულებითი, დაჟინებული „მზრუნველობის“ ობიექტებად იქცნენ. სამეფო ოჯახს უკავშირდება „დავითიანის“ შესწავლის – მისი მარადგანახლებადი სიცოცხლის დასაწყისიც. ამას ერთი საგულისხმო ფაქტიც ადასტურებს: 1832 წელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი შარმუა, ეროვნებით ფრანგი, ქართული დამწერლობითა და ლიტერატურით დაინტერესებულ ფრანგ მეცნიერს – მარი ბროსეს – ურჩევს, დაუკავშირდეს საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ძეს, დიდად განსწავლულ თეიმურაზ ბატონიშვილს და მისგან მიიღოს საგულისხმო რჩევები ქართული ლიტერატურის შესახებ. სწორედ თეიმურაზ ბატონიშვილი აღმოჩნდება ის მნიშვნელოვანი ადამიანი, რომელიც სწორ ორიენტირს განუსაზღვრავს მარი ბროსეს ქართული ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის შესწავლის თვალ-

საზრისით. 1838 წლის 10 იანვარს, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წლიურ საანგარიშო სხდომაზე, ფრანგი მეცნიერი ალორდინეზის პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე საუბრისას სხვა ტექსტებთან ერთად ვრცლად განიხილავს „დავითიანსაც“. აღნიშნულ მოხსენებაში მარი ბროსე ყურადღებას გაამახვილებს გურამიშვილის განათლების მაღალ ხარისხზე, დიდ პოეტად, ისტორიკოსად და ფილოსოფოსად აღიარებს მას და აღნიშნავს, – „დავითიანის“ მე-4 წიგნი – „მხიარული ზაფხული“ („ქაცვია მწყემსი“) – ფრანგული სიმსუბუქითა და ენამახვილობით დაწერილი პოემაა (დოდაშვილი, 1966, გვ. 94-98) [აღსანიშნავია, რომ მარი ბროსეს ეკუთვნის „დავითიანის“ ლექსების პირველი ფრანგული თარგმანიც].

დიდი დრო და გზა დასჭირდა დავით გურამიშვილს, ამაზე მეტყველებს „დავითიანის“ ხანგრძლივი რედაქტირების პროცესი (იხ. ნიშნიანიძე, 2023, გვ. 62, 64.), რომ ნანახი, განცდილი და აღქმული მხატვრულ ტექსტად ხორცმესხმულიყო და საუნჯედ, სიბრძნის წყაროდ და საგანმანათლებლო წიგნად დაბრუნებოდა ქვეყანას. წარმატების შფოთსა და ტკივილს შემოქმედებითი, მჭვრეტელობითი ცხოვრებით ძლევს გურამიშვილი და გადარჩენის, უკვდავყოფის ერთადერთ, უალტერნატივო გზად „დავითიანს“ – მიიჩნევს: „მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მაღონებსა; ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა? თუ არ შევკრებ და არ უძღვნი ყრმათა-ვარდის კონებსა, ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მამიგონებსა“ (გვ.17, სტ. 17). გურამიშვილი-შემოქმედი სამყაროს შემოქმედის მსგავსად ახალი მხატვრული სინამდვილის მაფორმირებელია. საღვთისმეტყველო თვალსაზრისით, ადამიანში ღმრთის ხატების ერთ-ერთი დასტური სწორედ მისი შემოქმედებითი უნარი იყო. „ადამიანს მხოლოდ მაშინ ძალუძს იმყოფებოდეს სიკეთეში, როდესაც შემოქმედებისკენ ისწრაფვის, როგორც ჭეშმარიტი სიკეთისკენ... ამ დაუსრულებელ გზაზე და განუხრელ სწრაფვაში აისახება და რეალიზდება ის ღვთაებრივი თვისებები, რომლებიც „ხატებაშია“ მოცემული“ (ეკალაძე, 2010, გვ. 64). დამცრობილი და სასტიკი ყოფის შემოქმედებითი ტრანსფორმაციის მიზნით, გურამიშვილი ერთი ცენტრის – ქრისტეს – გარშემო შემოიკრებს თავის მსმენელს და ღვთაებრივ საზრისთან აზიარებს მას. „დავითიანის ავტორს მიაჩნდა, რომ პოეზიამ ღმერთი უნდა „გამოთქვას“, „იგავთ ხის“ ხილმა (ასე უწოდებდა იგი პოეტურ ნაწარმოებს) ზეცისკენ უნდა წაიყვანოს მიწიერი“ (ფარულავა, 2009, გვ. 281) – ეს შუა საუკუნეების ლიტერატურის და, ზოგადად,

ხელოვნების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფორმულა და მძლავრი ხმაა. რენესანსის ეპოქაში პოეზიის ანუ შაირობის სიბრძნის დარგად გამოცხადებით: „*შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, /საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი*“ (რუსთაველი, 2009, სტ. 12), რუსთველი არა მხოლოდ პოეზიის, არამედ პოეტის, როგორც შემოქმედის ღვაწლის მანიფესტაციასაც ახდენს. თავისი დიდი წინაპრის მსგავსად, გურამიშვილისთვისაც პოეტური შემოქმედება ღვაწლის იმ სახეობად მოიაზრება, რომლითაც საკუთარი სულის გადარჩენას, შენდობას, ხსნას მოელოდა ავტორი: „*აგების ღმერთმან დამიხსნას ჯოჯოხეთისა მწვირითა*“ (გვ. 11, სტ.13) „*აგების რომ ბრძანოს ვინმე სიტყვა ჩემთვის შესანდობლად*“ (გვ.10, სტ. 9), „*ყრმაო შენ ძმობას გენუკვი, ასულო მიყავ შენ დობა, ვინც წაიკითხოს ეს წიგნი, მიბრძანოს ცოდვილს შენდობა*“ (გვ.10, სტ.12).

გურამიშვილის შემოქმედების დრო იწყება ყოვლისმპყრობელი ღმრთის ხსენებით: „*დავიწყო სიტყვა სიბრძნისა, პირველ ბრძენთაგან ბრძნობილი*“ (გვ. 15, სტ. 2). (სიბრძნე, ბრძენი ბიბლიასა და პატრისტიკულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული სახელია ღმრთისა – „*თვით სიბრძნემან იშენე თავისა თვისისა სახლი სიწმიდისაი*“ (იგავ. 9, 1)). ღმერთია მისი შემოქმედებითი მრწამსის წარმმართველი. შუა საუკუნეების მწერალთა მსგავსად, ავტორი საუბრობს ღმრთის მიერ რიტორთადმი ბოძებულ მადლმოსილებაზე: 1. ღმერთი, უპირველესად, სიყვარულის სათავეა – „*რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი*“; 2. იგია რიტორთათვის/მელექსეთათვის გრძნობის/გულის და ღრმა სიბრძნის მიმნიჭებელი: [მოეც] „*რიტორთა ლექსი გულისა, სიღრმე სიბრძნისა ზომანი*“ (გვ. 15, სტ. 1); 3. იგია რიტორის/მთქმელის საწადლის, სურვილის გამომხატველ-გამომთქმელი, მისთვის კეთილი სარგებლის მიმნიჭებელი: „*შენ მიმახვდინე წადილსა, არ მაქვნდეს ცუდად ცდომანი*“ (გვ. 15, სტ. 1). გურამიშვილი „რიტორად“ სახელდება რუსთველსაც: „*ოდესცა ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხე ველად/ფესვ ღრმა-ყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა*“ (გვ. 9, სტ. 4)); აღნიშნული სტროფების ანალიზისას გასათვალისწინებელია სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება: რიტორი/რიტორება „ელენთა ენაა, ქართულად ბასილიკონი და მჭევრი ჰქვიან. რიტორება არს ძალი ხელოვნებითი დამარწმუნებელი(სა) სიტყვისაი საქმესა შინა სამოქალაქოსა დასასრულად მქონებელი კეთილად მეტყველები-სა. ენამრავალი“ (ორბელიანი, 1993, გვ. 12). აღნიშნულიდან გამომდინარე, რიტორი/რიტორება, არისტოტელესეულ მსჯელობის, დასაბუ-

თეზის მეთოდთან ერთად მხატვრულ-გამომსახველობითი, ხატოვანი, შთამბეჭდავი ხელოვნების გაგებასაც გულისხმობს. გურამიშვილისეული განმარტებით, რიტორს უნდა ჰქონდეს უნარი: აზრობრივი იმპროვიზაციის – „*დავრგევ იგავთ ხე*“ (გვ. 9, სტ. 3), საკითხის სიღრმისეული ანალიზის – „*ფესვ ღრმა-ყო*“ (რაც გულისხმობს საგნის, მოვლენის ყოვლისმომცველი მიმართებებით შეფასება-ანალიზს და, ამასთანავე, მისი სიტყვა საყოველთაო სარგებლის მომცემი უნდა იყოს – სულიერი თუ ყოფითი არსებობის თვალსაზრისით – „*ორგზითვე ნაყოფს მისცემდა*“. გულისმიერობა სიტყვის, „*სიღრმე სიბრძნის*“ და ზეგავლენაზე ორიენტირებული სათქმელი გურამიშვილისეულ „*რიტორს*“ თანამედროვე დისკურსის კონტექსტში გაგვააზრებინებს და პოეზიის სამოქალაქო, საკაცობრიო დანიშნულებასა და მის კეთილისმყოფელ გავლენაზე მიგვითითებს. გურამიშვილის შემოქმედებითი პათოსიც რეალური დრო-სივრცით, საზოგადოებრივი საჭიროებით განისაზღვრება და თავდადებული მსახურებით პიროვნული ხსნის იდეამდე მალდება. შუა საუკუნეების ესთეტიკის ცნობილი მკვლევარი, ფილოსოფოსი და თეოლოგი ალექსეი ლოსევი ჭეშმარიტი ხელოვნების გაგების ამგვარ ფორმულირებას გვთავაზობს: „*ჭეშმარიტი*“, „*მარადიული*“ *ხელოვნება იბადება სინამდვილის კონკრეტული მომენტის განცდით, მხატვრის პათოსით, თანამედროვეთა მიმართ ვნებიანი დამოკიდებულებით, გარემო ყოფის მიერ მისი (ავტორის– ხ.ნ.) პირადი ადამიანური გამოწვევებით*“ (ლოსევი, 1930, გვ. 724).

„*დავითიანის*“ შესავალი და ბოლოსიტყვაობა – „*ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი*“ და „*ამ წიგნთა გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება*“, ლექსები – „*ანდერძი დავით გურამიშვილისა*“, „*მღრდელთ ვედრება დავით გურამისშვილისა*“ და „*საფლავის ქვაზედ დასაწერი*“, „*მეოთხე დავითის შესხმა და დავითნის ქების იგავი*“, ტექსტის ის ერთეულებია, რომლებშიც თეორიულადაა დადასტურებული ავტორის, ტექსტისა და მკითხველის კონცეპტუალური დებულებები. შესავალი ავტორის, ტექსტისა და მკითხველის პირველი შეხვედრის, თანაგანცდისა და აღმოჩენების ასპარეზია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ, თეორიული თვალსაზრისით, დავით გურამიშვილის პოეტური სამყაროს გასაღები „*დავითიანის*“ შესავალსა და ბოლოსიტყვაობაშია ფორმულირებული. იგი უპასუხებს კითხვებს: ვინ მოგვითხრობს, რას მოგვითხრობს, რატომ და როგორ მოგვეთხრობა? ამ კითხვებზე პასუხით განისაზღვრება ავტორის მსოფლხედვა, მი-

სი შემოქმედებითი მრწამსი და სათქმელის მხატვრულ-ესთეტიკური ბუნება.

შესავალი წარმოაჩენს ორ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ პოზიციას – ავტორისეულსა და მკითხველისეულს. აღნიშნულია, რომ „ავტორი, გარკვეულ დრო-სივრცულ კონტექსტში ქმნის პირობით დრო-სივრცულ მიკროსამყაროს, რომელსაც მკითხველი, ასევე, გარკვეული დრო-სივრცული კონტექსტიდან აღიქვამს“ (რატიანი, 2010, გვ.186). „დავითიანის“ შესავალი, როგორც ავტორისა და მკითხველის პირველი შეხვედრისა და ინტერაქციის ასპარეზი, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მსგავსად, მკითხველის განსაკუთრებული კომფორტისთვის იქმნება, მან მაქსიმალურად უნდა გაუადვილოს მკითხველს ტექსტის მსოფლმხედველობრივი, მხატვრულ-ესთეტიკური, ჟანრობრივ-სიუჟეტური პლასტების აღქმა-გააზრება. მხატვრული ტექსტი, განსაკუთრებით, პოეტური ნაწარმოები, ავტორისა და მკითხველის სულიერ-ინტელექტუალური, ემოციურ-პერცეფციული შეხვედრის დრო და ადგილია. გურამიშვილი ძლევამოსილი ავტორია, მას აქვს ბიბლიურ მამამთავართათვის ნიშნული სიკერპე, შეუვალობა და რწმენა, დაიმორჩილოს, მიმართოს მკითხველის აზრები, ოცნებები, ფიქრები, ემოციები.

შუა საუკუნეების ავტორი შეიძლება იყოს ანონიმი გასაიდუმლოებული, მისტიფიცირებული, ან გაცხადებული, პერსონიფიცირებული. შეიძლება იყოს თავმდაბალი, დაეჭვებული, ნაკლოვანებისა და ცოდვის ტკივილით განმსჭვალული და ამასთანავე, მტკიცე და შეუვალი, ადვსილი ადამიანური და მწერლური მოვალეობა-პასუხისმგებლობის ურყევი რწმენით. „დავითიანის“ ავტორის მკითხველთან კომუნიკაცია შუა საუკუნეების ესთეტიკის გამომხატველია. მკითხველის, მსმენელის წინაშე ავტორის წარდგინებას რუსთველური ხიბლი სდევს თან და თავდაჯერებული ტონალობისა: „დავითიანი ვთქვი დავით გურამიშვილმან გვარადო...“ (გვ. 9, სტ. 1). („მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“ (რუსთაველი, 2009, სტ. 9). ქართული მხატვრული სიტყვიერების ისტორიაში გურამიშვილი მეტად სანდო, გულახდილი ავტორია. გურამიშვილი-ავტორი გურამიშვილი-პერსონაჟის მსგავსად არასოდეს ფარავს თავის სისუსტეს – ნაკლოვანებას ადამიანური ბუნების მახასიათებლად მიიჩნევს და მათ აღიარებასა და მოგვარებაში ხედავს თავის, როგორც ავტორისა და პერსონაჟის, ძალმოსილებასა და ღირსებას. მკითხველის წინაშე წარმოდგება, ერთი მხრივ, გურამიშვილი პერსონაჟი, ქართლისა და პირადი ჭირით

გულშემძრული, უფლის წინაშე ლოცვად, ღაღადებად, სინანულად მდგარი, უნუგეშო – „აწ დავჰკარგულვარ თავთათვის, აღარ მოველი პოვნასა“ (გვ. 100, სტ. 584)), მოხეტიალე და დამცრობილი, მეორე მხრივ კი, გურამიშვილი ავტორი, ძლევამოსილი, შემოქმედი ახალი მხატვრული სინამდვილის, დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მორალით აღსავსე და თავდაჯერებული, გამოცდილებითი სიბრძნითა და თვითშემეცნების გზით სრულყოფილი, უფლის წინაშე პასუხისმგებელი, შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის. გურამიშვილი შემოქმედი ხედავს იმაზე მეტს, რასაც გმირი და მკითხველი, იგი თავის თავში მოიცავს და ამთლიანებს მხატვრული ტექსტის ყველა კომპონენტს. დავით გურამიშვილს გააჩნია თავისი რეალური ისტორია, თავისი ბიოგრაფია. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ავტორის პერსონა ნაწარმოების გარეთ მყოფობს და როგორც დამოუკიდებელი ბიოგრაფიის მქონე, ცხოვრობს საკუთარი ბიოგრაფიული ცხოვრებით“ (ბახტინი, 1975, გვ. 403). გურამიშვილი-გმირი სხვა პერსონაჟთა მსგავსად ერთიანი მხატვრული სამყაროს ნაწილია და იერარქიულად ექვემდებარება გურამიშვილ-შემოქმედს. სრულიად განსხვავებულია გურამიშვილი ავტორი და გურამიშვილი გმირი/პერსონაჟი. მათი სივრცეები განსაზღვრული და გამიჯნული უნდა იყოს. ავტორის შემოქმედებითი ენერგია მთელს ტექსტში რეალიზდება, გურამიშვილი გმირისა – კონკრეტულ ეპიზოდებში. დავით გურამიშვილის ბიოგრაფია იქმნება ყველა იმ წყაროს მიხედვით, რომლებმაც შემოგვინახეს ხსოვნა მის შესახებ. ასე რომ, ცალ-ცალკე განიხილება გურამიშვილი შემოქმედი, თავისი პერსონალური ბიოგრაფიით და გურამიშვილი პერსონაჟი. საჭიროა მათი საზღვრების გამიჯვნა, მიუხედავად იმისა, რომ „დავითიანი“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. გურამიშვილმა-შემოქმედმა გურამიშვილ-გმირთან, ისე როგორც სხვა პერსონაჟებთან მიმართებით, „...იცის და ხედავს მეტს არა მხოლოდ იმ მიმართულებით, საითკენაც იყურება და ხედავს გმირი, არამედ სხვა, თავად გმირისათვის პრინციპულად მიუწვდომელი მიმართულებითაც“ (ბახტინი, 1986, გვ. 17).

სამყაროში ღვთის გაცხადება ორგვარად ხდება: ქვეყნიერებაში და საღმრთო წიგნებში. შესაბამისად, ღმერთი გაშუალებულიად ამ ორი გზით შეიმეცნება. გურამიშვილის მონათხრობიც ეფუძნება ღმერთთან ურთიერთობის პიროვნულ გამოცდილებასა და საღვთო წიგნებიდან მიღებულ ცოდნას. რელიგიურ-ეთიკურ თუ ლიტერატურულ-ესთეტიკურ საკითხებზე მსჯელობისას გურამიშვილი, უპირობოდ, ავტო-

რიტეტულ წიგნებსა და ავტორებს ეყრდნობა. საკუთარი შემოქმედებითი მისიის შეცნობა, ღმერთთან კავშირის გზით გაცხადებული, ახალი ურთიერთობის – მსმენელთან, მკითხველთან კომუნიკაციის ახალ შესაძლებლობებს ბადებს. იყოს ავტორი მისთვის უპირველესად მოვალეობა-პასუხისმგებლობა: „ახლა ვსთქვა ჩემი სათქმელი, რაც მაქვს ნდეს ჭკუვა, გაგება... სულ რომ არა ვსთქვა არარა, ის უფრო არ ევარგება“ (გვ. 25, სტ. 72-73).

უნდა აღინიშნოს, რომ დავით გურამიშვილის მკითხველთა აუდიტორია, მიზნობრივი ჯგუფი ფართო და დაუსაზღვრავია, იგი წერს სწავლის, თვითშემეცნების მოსურნე მკითხველისთვის (ყმაწვილური ასაკი ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა, თუმცა ეს ის დროა, როცა უნდა დაიწყოს წვრთნა, განსწავლა ყმაწვილისა). გურამიშვილის მკითხველს აქვს თავისუფალება არა მარტო პროფესიათა არჩევისას. „შენა გწადს აწ რომელითა?“ – ამ კითხვის არეალი გაცილებით ფართოა გურამიშვილის თავისუფალი ნების მქონე მკითხველისთვის, და მას აძლევს საშუალებას, სიკეთესა და ბოროტებას, ცოდნასა და უცოდინრობას, წუთისოფელსა და მარადიულ სოფელს შორის გააკეთოს არჩევანი. ხოლო გურამიშვილის, როგორც ავტორის მისია სწორედ ის არის, რომ სწორი არჩევანისთვის განსწავლოს და ჩააფიქროს მკითხველი. ასე იქმნება ერთობა მთქმელს, ტექსტსა და მკითხველს შორის. სათქმელის გასრულება შემოქმედებით კმაყოფილებას ჰგვრის ავტორს, მისთვის უცხოა შეფარული თავმდაბლობა, სწამს: „ავს სარგებელსა არა იქს ამ უსასყიდლოს ვაჭარი“ (გვ. 9, სტ. 3), „ყრმათ შევავედრე ეს წიგნი, არ შექმნან დასახეველად“ (გვ. 9, სტ. 4).

პოემა ცხადყოფს, რომ ავტორისა და მკითხველის ერთობის, თანამონაწილეობის გარეშე, სმენისა და მიყოლის მიღმა, ავტორის ჩანაფიქრი ვერ განხორციელდება. ავტორისა და მკითხველის ურთიერთშეწევნა-ურთიერთგანსაზღვრულობა, მათ შორის პასუხისმგებლობა-მოვალეობის ღრმა შეგრძნება, დავით გურამიშვილის აზრით, ორმხრივად აუცილებელია (იხ. ნიშნიანიძე, 2020, გვ. 191-201). პოემის დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათი ცხადყოფს, რომ მკითხველი/მსმენელი, რომელსაც მიემართება სწავლება, ავტორთან შედარებით ნაკლოვანია და სრულყოფას ითხოვს. შესაბამისად, იგია ავტორის დაკვირვების, ზრუნვისა და შეწევნის მუდმივი ობიექტი.

დავით გურამიშვილისთვის შემოქმედებითი მისიის აღსრულება წარმოუდგენელია მკითხველის მზაობის, თანამონაწილეობის გარეშე. მკითხველი, რომელსაც ქმნის და განსწავლის გურამიშვილი, უნდა

გახდეს ავტორის ხსნის, „შენდობის“, გადარჩენის საფუძველი. გურამიშვილმა შეძლო და თავისი ტკივილიან-ცოდვილიანი ცხოვრება პოეტური შემოქმედების გზით ღმერთთან მოარიგა. ახლა კი, რაც საკუთარ თავზე გამოსცადა, სხვას უნდა გაუზიაროს. წიგნმა, ბიბლიურმა სიბრძნემ გადაარჩინა გურამიშვილი და ახლა წიგნითვე უნდა შეეწიოს ქვეყანას.

ერთი შეხედვით, აპოკრიფული ტექსტის ავტორთათვის დამახასიათებელი სილაღე-თავისუფლება გამოარჩევს ავტორს. მაგრამ ხელნაწერით დასტურდება, რომ გურამიშვილი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ბიბლიურ ტექსტთა კანონიკურობა-არაკანონიკურობის საკითხს. გურამიშვილი ავტორი პასუხისმგებელია მკითხველის სწორად ინფორმირებულობაზე და მკითხველისგანაც ამგვარ კეთილსინდისიერებას მოელის. „ქაცვია მწყემსის“ ერთი თავი „*ა.წარღვნის ამბავი: ნოეს კიდობნად შესვლა*“ მოგვითხრობს ისტორიას წარღვნისა და მართალი ნოეს შესახებ. გურამიშვილი ჩვეული იმპროვიზებით გადმოგვცემს სათქმელს, მაგრამ ანგარიშს უწევს, ითვალისწინებს კანონიკური ტექსტის უწყებას. აღნიშნულია, რომ იგი ეყრდნობა ბაქარისეული ბიბლიის მოსკოვურ, 1743 წლის გამოცემას (კეკელიძე, 1955, გვ. 305). ხელნაწერში შეტანილი სტროფები 529-533-ის ჩათვლით, რომელშიც მოთხრობილია ნოესა და კამეჩის (კამბეჩის) ამბავი, ავტორს გადახაზული აქვს. აშიაზე კი, ასეთი მინაწერი გვხვდება: „*ეს კამბეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერცადა ვნახე და ისევ მოვშალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნუღარა დასწერს, ამისთვის რომე სჯულად არ დაიდვას ტყუილი*“ (გურამიშვილი, 2014, გვ. 246). „წიგნში წერილში“ სწორედაც წმინდა წერილში შემავალ ერთ-ერთ წიგნს – დაბადებას – გულისხმობს ავტორი. ასე რომ, ტექსტის რევიზია ხანგრძლივი და საპასუხისმგებლო პროცესი იყო გურამიშვილისთვის, ამას ხელნაწერზე გაკეთებული აღნიშნული მინაწერითაც ვადასტურებთ. ბიბლიური ისტორიების გადმოცემის თავისუფალი სტილი, პიროვნულ-ემოციური და აზრობრივ-ინტელექტუალური აქცენტები, გარკვეული თვალსაზრისით მოგვაგონებს ტექსტის გააზრების „შემატება-კლების“ თავისუფალ, შემოქმედებით პრინციპზე დაფუძნებულ მეთოდს, რომელიც ექვთიმე ათონელის სახელთანაა დაკავშირებული. ამასთან დაკავშირებით ედიშერ ჭელიძე (2011, გვ. 11) წერს: „*ჩვეულებრივ, არავის „ხელეწიფება“ და არც აქვს უფლება, წმინდანის შრომას რამ ჩაუმატოს ან გამოაკლოს, ექვთიმეს კი „ღმრთივსული-ერად ხელეწიფებოდა ის, რაც სხვას არა თუ არ ხელეწიფებოდა, დანა-*

შაულადაც ჩათვლებოდა და დაისჯებოდა კიდევ სრულიად სამართლიანად. მისთვის ეს იყო ბუნებითი მდგომარეობა, განსაკუთრებული ღვთივგანბრძობილობის გამო“. მეცნიერი ექვთიმეს „სამოღვაწეო სასწაულებრიობას“ ხსნის იმ სასწაულით, რაც სიყრმის ჟამს აღსრულდა ექვთიმეზე (იგულისხმება ღვთისმშობლის მიერ მომკვდავი ექვთიმეს სასწაულებრივი განკურნების ისტორია). თუ თანამედროვეთა შეფასებებსაც გავიხსენებთ, ექვთიმეს მიერ ამგვარი თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდის შემოღება ქართველთა სულიერი სიჩქოვებითა და ნაკლოვანებით იყო გაპირობებული. ასე რომ, ერის საჭიროებებიდან, მოთხოვნებიდან გამომდინარე მწერალს/შემოქმედს, ზოგადად ლიტერატურას, ჰქონდა ცვლილებებისა და ინტერპრეტირების თავისუფლება და იგი ღმრთივკურთხეულიც შეიძლებოდა ყოფილიყო. სიტყვათშემოქმედებითი, კომენტირება-გამარტივების გზით ერის გადარჩენის, მსახურების მემკვიდრეობით ხაზს აგრძელებს გურამიშვილიც.

გურამიშვილის აზრით, განუსაზღვრელად დიდია მკითხველის თანამონაწილეობა „წიგნის განწიგნებაში“, რაც წიგნისთვის სიცოცხლის, ცხოველმყოფელობის მინიჭებას ანუ მის აღიარებას, ლეგიტიმაციას, საკითხავ წიგნად ქცევას გულისხმობს. გურამიშვილის მკითხველი/მსმენელი და რუსთველის „კაცი ვარგი“, ვფიქრობთ, იდენტური სახე-პერსონაჟებია. რუსთველი გვთავაზობს ავტორის, პერსონაჟისა და მკითხველის აზრობრივ-ემოციური თანამყოფობის კლასიკურ ნიმუშს, მთავარი გმირის დახმარება-შეწევნის სურვილით გაშუალებულს, იგი ასე ფორმულირდება: „*მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი*“ (რუსთველი, 2009, სტ. 7) ან: „*მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება*“ (რუსთაველი, 2009, სტ. 6). ჰაგიოგრაფიული მწერლობაც ავტორისა და მკითხველის/მსმენელის ერთიანობის საჭიროებას ადასტურებს. იმისთვის, რომ გაცხადდეს, დადასტურდეს აბოს მოწამეობის ფაქტი და შინაარსი, მე-8 საუკუნის ჰაგიოგრაფი იოანე საბანისძე მიმართვს მსმენელს: „*არათუ ჩემდა ხოლო მარტოისა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტვირობაი წმინდისა ამის მოწამისაი, არამედ ყოველთაი ჯერ-არს თქუენდა დაკვირვებად ჩემ თანა*“, „*ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რაითა არა ცუდად დავშურეთ: მე სიტყვითა და თქუენ სმენითა, რაითა ერთობით მოგუცეს ჩუენ სასყიდელი შრომათა ჩუენთაი*“ (საბანისძე, 2005, გვ. 1116). ამგვარ თანამონაწილეობა-თანაგანცდას, რეფლექსიას ითხოვს

გურამიშვილი მკითხველისაგანაც, რათა გამართლდეს მისი მოღვაწეობის, შემოქმედების მიზანი.

გურამიშვილი ამკვიდრებს ცნებას – ტექსტის ნათლობა, რაც ყოველ დროში ავტორის – დავით გურამიშვილისა და მკითხველის ერთობის, მათი სრულყოფილი კავშირის უზენაეს გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ: „*ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს;/თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს,/ ან თუ იყოს მატყუვარა, ეცადოს რომ განმიმართლოს,/სხვასი ნურას მოინდომებს მასზედ მეტსა უსამართლოს*“ (გვ. 10, სტ. 11). „დავითიანში“ სიტყვა „ნათლობა“ რელიგიური ელფერის მატარებელიცაა და ამასთანავე, ნიშნავს რევიზიას, რედაქტირებას, შესწორებას. გურამიშვილი, ერთი მხრივ, საკუთარ „სიბრძნე-მცირობას“, „სიმწირეს“ მიიჩნევს ტექსტის „უნათლობის“ მიზეზად და მკითხველის განსაკუთრებულ კატეგორიას – „ბრძენ კაცს“ განუჩინებს ტექსტის რევიზიის, „მონათვლა“, „მოქცევა“, „გაქართულების“ მისიას. თანაშემოქმედება ავტორისა და „ბრძენი კაცისა“ ერთგვარი ალუზიაა მეტაფრასტა მიერ გაწეული რედაქტორული ღვაწლისა. საინტერესოა, რა სახის რედაქტორული სამუშაოს ჩატარებას მოელის დავით გურამიშვილი „ბრძენი კაცისა“ და მკითხველისგან? ისინი სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნებიან, „ბრძენი კაციც“ მკითხველია, მაგრამ აღმატებული ცოდნის, სულიერებისა და გამოცდილების მქონე, ვინც გურამიშვილის პროფესიათა ჩამონათვალში მე-10 რიგს იკავებს (გვ. 22, სტ. 49). ტექსტის „თარგმანება“, განმარტება ანუ კომენტირება დაფარულის გაცხადებას, დეკოდირებას ნიშნავს და ის მოეთხოვება „დავითიანის“ ყველა მკითხველს: „*სცან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე, თუ გიყვარდეთ!/ქრთილის პურის ქერქშია შიგ თათუხი ჩავდეთ!*“ (გვ.68, სტ.373). „ბრძენ კაცს“ კი საღმრთისმეტყველო-თეოლოგიური თვალსაზრისით მართებს ტექსტის რევიზია: „*თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს*“; „*ან თუ იყოს მატყუვარა, ეცადოს, რომ განმიმართლოს,/სხვასი ნურას მოინდომებს მასზედ მეტსა უსამართლოს*“ (გვ.10, სტ.11), ეფრემ მცირის (XI ს.) „მოსახსენებელი“ მცირე სუიმეონისათვის ლოღოთეტიცა“, რომელიც ანდერძის სახით ერთვის მის მიერ სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებათა ქართულ თარგმანს და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ერთ-ერთი დიდებული ნიმუშია, თანმიმდევრულად წარმოაჩენს იმ ღვაწლს, რაც თავდაპირველი, ე. წ. „კიმენური“ რედაქციების სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივი, ლიტერატურულ-ესთეტიკური სრულყოფისთვის გასწია სვიმეონ ლოღოთეტმა. ეფრემის უწყებით:

სვიმეონმა „პირველად შეამკო უშუერებად სიტყვისად... და კულად შემკობასა თანა უშუერისასა ილუაწა სრულიად განგდებაი სიტყვისა საეჭუელისა და მწვალებელთა მიერ შეძინებულისა“ (კეკელიძე, 1957, გვ.144-146). ეფრემ მცირის აღნიშნული ნაწარმოები იმასაც გვამცნობს, რომ მეტაფრასული საქმიანობის კვალად სვიმეონ ლოლოთეტი წმინდა ღმრთისმეტყველი მამების – იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ ღმრთისმეტყველის – დასს შეუერთდა. „ეს წიგნი წმინდად სახმარი არავინ გამიჩირქოს!“ (გვ.64, სტ.350) – გურამიშვილის ამ სტრიქონით ძველ მწიგნობართა პროფესიული სიფრთხილე, თადარიგი გვახსენებს თავს, რომ არ დაიკარგოს „ძალი სიტყვის პირველდიდებულებისა“. „...ვინ სწერდეთ ამა წიგნისაგან, ღმერთმან გარწმუნოს: სიტყუასა ნუ გამოსცვალეზთ, ნუცა შეჰმატებთ, რამეთუ ვჰგონებ, თუ არავინ არს ამას ჟამსა უბრძენეს მის ნეტარისა ქართველისა“, – მიმართავს მწიგნობარი წიგნის მკითხველ/გადაამწერს (მეტრეველი, 1996, გვ.133).

აღსანიშნავია, რომ აღორძინების პერიოდის ავტორთათვის უცხო არ იყო ტექსტში მკითხველის მხრიდან შესწორებების, ცვლილებების შეტანის მოლოდინი და მოწოდებაც: თეიმურაზ მეფე (1589-1663) თავის პოემაში „ქეთევანის წამება“ ნებას რთავს მკითხველს, რომ ტექსტში სურვილისამებრ შეიტანოს ჩამატებები: „ვინცა ლექსი მოუმატოს, მე არა ვარ მომდურავი“ (თეიმურაზი, 2017, გვ. 47). ალექსანდრე ბატონიშვილი (არჩილ II-ის ძე, 1674-1711 წწ.) რუსულიდან თარგმნილ თხზულებას „ბასილი მეფისა ბერძენთასა თავნი სამხილებელნი“ დართულ ანდერძში ევედრება მკითხველს: „ლოცვა ჰყავთ ჩემ ცოდვილისა ამის ბატონიშვილის ალექსანდრესთვის... და უკეთუ სადმე გამართვა აკლდეს, ვისაცა გამართვა ენებოს და უწყოდეს, არა მაყენებელ ვარ“ (ხელნაწერი A 617, 72r-v) (გაბიძაშვილი, 2018, გვ.179).

ტერმინი „გამიქართლოს“ მოხმობილ სტრიქონში ჭეშმარიტი, უტყველი სარწმუნოების სინონიმად მიგვაჩნია და იმ ეპოქის მსოფლხედვას გამოხატავს, როცა ქრისტიანობასა და ქართველობას იდენტური შინაარსი ჰქონდა და ქართული ეროვნული ავტოპორტრეტის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენდა. მე-18 საუკუნის მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი თავის მატიანეში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – აღნიშნავს:

„პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერ-კახსა: რა რჯული ხარ? წამს მოგიგებს: – ქართვე-

ლი. მეორედ არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარ-
ნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნილი. და ჰკითხო რა წინთქმულ-
თა მათ კაცთა: – რა ენა და წიგნი უწყი? მოგიგებს მყის: – ქართუ-
ლი. რამეთუ არა იტყვის არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთა-
სა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ – ქართულსა. მესამედ,
არასადამე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონას-
ტერთა ანუ ხატთა და ჯვართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყოს
სხვათა მეფეთა სახელნი, თვინიერ: „ჩუენ მეფემან საქართვე-
ლოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან...“, რომელთა
ზედა წერილ არიან ქვათა, ხატთა და ჯუართა ზედა“ (ვახუშტი
ბაგრატიონი, 1990, გვ. 70).

ილია ჭავჭავაძე წერდა: „*დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართ-
ველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არი-
ან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო*“ (ჭავჭავაძე,
2009, გვ.13-14). ამ თვალსაზრისით, საინტერესოა რუსთველის მხატ-
ვრული სახის – „*ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული*“ – გააზრება, იგი
პერსონაჟის ეთიკურ-ესთეტიკურ ბუნებაზე აქცენტირების მიღმა მის
ეროვნულ და სარწმუნოებრივ იდენტობასაც უნდა გულისხმობდეს.

ავტორისა და მკითხველის კომუნიკაციის, თანაშემოქმედების
გურამიშვილისეული მოდელი ბიბლიურ პარადიგმამდე დაიყვანება.
„დავითიანის“ ავტორი და მისი მკითხველი – მთარგმნელ-„გამქართ-
ლებელი“, ედემის ბაღში მყოფი უფლისა და ადამის სახე-ხატებად შე-
იძლება გავიაზროთ: „*და დაჰწერგა ღმერთმან სამოთხე ედემს აღმოსა-
ვალით და დადვა მუნ კაცი, რომელი შექმნა*“ (დაბ. 2, 8), უფალმა ადამს
ბაღის დაცვა-დამუშავება, მასზე ზრუნვა დაავალა და უფლისავე გან-
ჩინებით, შესაქმნის თანამონაწილე გახადა:

„*და შექმნნა უფალმან ყოველნი მკეცნი ველისანი და მფრინ-
ველნი ცისანი და მოიყვანნა იგინი ადამისა ხილვად, რად უწო-
დოს მათ და ყოველი, რომელი უწოდა მათ ადამ სულსა ცხოველ-
სა, ესე არს სახელები მისი. და უწოდა ადამ სახელები ყოველთა
საცხოვართა და ყოველთა მფრინველთა ცისათა და ყოველთა
მკეცთა ქუეყანისათა*“ (დაბ. 2, 19-20).

წმინდა იოანე დამასკელის განმარტებით, სახელის დარქმევა
„*არსის განსაზღვრას ნიშნავს*“ და ადამმა შეძლო, ყველა ქმნილების არ-
სი სწორად განესაზღვრა (ბიბლია განმარტებით, 2019, გვ. 28). ღვთაებ-

რივი ჩანაფიქრი – შესაქმეში ადამის თანამონაწილეობის – პატივთან ერთად განუსაზღვრელ ვალდებულებასაც აკისრებს პირველ ადამიანს. ბიბლიური შესაქმის აღნიშნული მოდელი განსაზღვრავს დავით გურამიშვილის შემოქმედებით მრწამსს. წიგნის მარადგანახლებად პროცესში მკითხველის ჩართულობა წიგნში გაცხადებული ჭეშმარიტების დაცვა-მოფრთხილებისა და უკვდავყოფის საწინდარი, ავტორის, ტექსტისა და მკითხველის სულისმიერი ერთობის, ავტორის იდეური ჩანაფიქრის აღსრულების უცდომელი პირობაა. წიგნში გადმოცემული ტრაგიკული ამბები – ქართლის ჭირი და დავით გურამიშვილის განსაცდელი – ადამიანსა და ღმერთს შორის დარღვეული კავშირის გამომხატველია და წიგნიერი სიბრძნის გზით უნდა დაიძლიოს. წიგნი, რომელსაც ღმრთივშთაგონებული გურამიშვილი ქმნის, უპირველესად სამეფო ოჯახის წილში უნდა იკითხებოდეს, რადგან გურამიშვილს, როგორც შუა საუკუნეების ცნობიერების მატარებელ შემოქმედს, ღრმად სწამს, რომ, თუ „სათავეში წმინდა წყალია, სადინარშიც წმინდა წყალი მოედინება“.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაგრატიონი, ვ. (1990). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართული მწერლობა, ტ. 8. თბილისი: „ნაკადული“.
- ბიბლია განმარტებებით. (2019). ტ.1. თბილისი: „პალიტრა L“.
- გაბიძაშვილი, ე. (2018). ძველი ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების კლასიფიკაცია და ბიბლიოგრაფია. თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა.
- გურამიშვილი, დ. (2014). დავითიანი. თბილისი: „პალიტრა L“.
- დაბაძე. (2013). ბიბლია. თბილისი: „პალიტრა L“.
- დოდაშვილი, რ. (1964). მარი ბროსე. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ეკალაძე, ზ. (2010). 59. ქრისტიანული ანთროპოლოგია. ფერისცვალება, საღვთისმეტყველო-შემეცნებითი აღმანახი, პერიოდული გამოცემა, თებერვალი, 2.
- თეიმურაზი, მეფე. (2017). წამება ქეთევან დედოფლისა, ახალი გამოცემისათვის ტექსტი მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო თ.ქართველიშვილმა, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- კეკელიძე, კ. (1955). დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, „დავითიანი“. თბილისი: „სახელგამი“.
- კეკელიძე, კ. (1957). ეტიუდები. ტ. 5. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

- მეტრეველი, ე. (1996). ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. თბილისი: „ნეკერი“.
- ნიშნიანიძე, ხ. (2023). დავით გურამიშვილის „დავითიანი“: წიგნი როგორც გადარჩენა. ლიტერატურული ძიებანი, XLIII. თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- ნიშნიანიძე, ხ. (2020). დავით გურამიშვილის განათლების კონცეფციისათვის – „ისმინე, სწავლის მძებნელო“. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკონფერენციო მოხსენებათა კრებული (2019 წლის მაისი) III. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი.
- ორბელიანი, ს.ს. (1993). ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი: „მერანი“.
- რუსთაველი, შოთა. (2009). „ვეფხისტყაოსანი“. სასკოლო გამოცემა. თბილისი.
- საბანისძე, ი. (2005). წმ. აბო თბილელის წამება, ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. თბილისი: გამომცემლობა „ახალი ივირონი“.
- ფარულავა, გ. (2009). ძველი ქართული ლიტერატურა. ტ. 3. თბილისი.
- რატინი, ი. (2010). ტექსტი და ქრონოტოპი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჭავჭავაძე, ი. (2009). ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი/რანი ვართ ქართველნი. თბილისი.
- ჭელიძე, ე. (2011). ქართველ ათონელთა ღვაწლი. სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. თბილისი.
- Бахтин, М. (1975). Вопросы литературы и эстетики. Москва: „Художественная литература“.
- Бахтин, М. (1986). Эстетика словесного творчества. Москва: „Искусство“.
- Лосев, А. (1930). Очерки античного символизма и мифологии. Т. 2. Москва: «Мысль».

References:

- Bagrati'oni, V. (1990). Agts'era Sameposa Sakartvelosa, Kartuli Mts'erloba. [Description of the Kingdom of Georgia, Georgian Literature]. vol. 8. Tbilisi: "Nak'aduli".
- Biblia ganmart'ebibit [The Bible with commentary]. (2019). Vol. 1. Tbilisi: P'alit'ra L.
- Bakhtin, M. M. (1975). Voprosy literatury i estetiky. [Questions of Literature and Aesthetics]. Moskva: "Khudozhestvennaya literatura".
- Bakhtin, M. M. (1986). Estetika slovesnogo tvorchestva [The Aesthetics of Verbal Art]. Moskva: „Iskusstvo“.

- Ch'avch'avadze, I. (2009). Kartveli eri da ghvats'li ts'minda Ninosi / Rani vart kartvelni. [The Georgian Nation and the Mission of Saint Nino / Who Are We, the Georgians?]. Tbilisi.
- Ch'elidze, E. (2011). Kartvel Atonelta ghvats'li. [The Legacy of Georgian Athonites]. Tbilisi: "Logosi".
- Dabadeba (2013). Biblia. [The Bible]. Tbilisi: P'alit'ra L.
- Dodashvili, R. (1964). Mari Brose. [Marie Brosset]. Tbilisi: "Sabch'ota Sakartvelo".
- Ek'aladze, Z. (2010). 59. Kristeanuli antrop'ologia, Peristsvaleba. [Christian Anthropology]. Saghvtsimet'q'velelo-shemetsnebiti almanakhi, p'periodic edition, February, 2.
- Gabidzashvili, E. (2018). Dzveli kartuli khelnats'erebis anderdz-minats'erebis k'lasipik'atsia da bibliografi. [Classification and Bibliography of Testamentary Notes in Old Georgian Manuscripts]. Tbilisi: Tbilisis sasuliero ak'ademiisa da seminarisis gamomtsemloba.
- Guramishvili, D. (2014). Davitiani. [Davitiani]. Tbilisi: P'alit'ra L.
- K'ek'elidze, K'. (1955). Davit Guramishvili, Tkhzulebata sruli k'rebuli, "Davitiani". [David Guramishvili, Complete Works, "Davitiani"]. Tbilisi: „Sakhelgami“.
- Losev, A. F. (1930). Ocherki antichnogo simvolizma i mifologii. [Essays on Ancient Symbolism and Mythology]. Vol. 2. Moscow.
- Met'reveli, E. (1996). Nark'vevebi Atonis k'ulturul-saganmanatleblo k'eris ist'orii-dan. [Essays on the Cultural and Educational Mission of Athos]. Tbilisi: „Nek'eri“.
- Nishnianidze, Kh. (2023). Davit Guramishvilis „Davitiani“: Tsigni rogorts gadarchena. [Davit Guramishvili's Davitiani: The Book as a Survival]. Lit'erat'uruli dziebani, XLIII. Tbilisi: Shota Rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i.
- Orbeliani, S. S. (1993). Lek'sikoni kartuli, [Georgian Dictionary]. T'. II. Tbilisi: "Merani".
- Rustaveli, Sh. (2009). Vepkhist'q'aosani [Knight in the Panther's Skin], school edition. Tbilisi.
- Pharulava, G. (2009). Dzveli kartuli lit'erat'ura. [Old Georgian Literature]. Vol. 3. Tbilisi.
- Rat'iani, I. (2010). T'ekst'i da khronot'op'i. [Text and Chronotope]. Tbilisi: TSU gamomtsemloba.
- Sabanisdze, I. (2005). Ts'm. Abo Tbilelis ts'ameba, Dzveli kartuli saek'lesio lit'eratura. [The Martyrdom of St. Abo of Tbilisi]. Tbilisi: "Akhali Ivroni".
- Teimurazi I. (2017). Ts'ameba Ketevan Dedoplisa. [The Martyrdom of Queen Ketevan]. Tbilisi: Khelnats'erta erovnuli tsentri.